საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №116/18

მოსამართლე … მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

… (მხარე) 2018 წლის 25 აპრილის №... საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 - მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე … მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 09 აგვისტოს №116/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე … სააღსრულებო ფურცელი გასცა არაუფლებამოსილ პირზე, მოპასუხეზე, რომელმაც დამალა ეს დოკუმენტი და ამით, ხელი შეუშალა საჩივრის ავტორს საკუთარი უფლებების განხორციელებაში. გარდა ამისა, მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება გადაეცა კანონით გათვალისწინებული ვადის გადაცილებით და საქმე სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნილ იქნა 5 დღიანი ვადის დარღვევით. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

2. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

2.1. 2017 წლის 03 თებერვალს მოსარჩელემ, … სარჩელით მიმართა … რაიონულ სასამართლოს მოპასუხის, … მიმართ და მოითხოვა, მათი შვილების საცხოვრებელ ადგილად, მამის (…) საცხოვრებელი ადგილის დადგენა. მოსარჩელემ ასევე ითხოვა, საქმეზე საბოლოო

გადაწყვეტილების მიღებამდე ბავშვებთან ურთიერთობის საკითხის მოწესრიგება დროებითი განკარგულებით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ….

2017 წლის 07 მარტის განჩინებით (დროებითი განკარგულებით) … შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბავშვებთან ურთიერთობის პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

აღნიშნული განჩინების საფუძველზე მომზადებული სააღსრულებო ფურცელი …, მისივე განცხადების საფუძველზე, გადაეცა 2018 წლის 14 მარტს.

2017 წლის 31 მარტს მოპასუხემ, … განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, 2017 წლის 07 მარტის განჩინების შეცვლა და მამის ბავშვებთან ურთიერთობის საკითხის სხვაგვარად დარეგულირება.

2017 წლის 31 მარტს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც ის არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას.

2017 წლის 10 აპრილს მოპასუხის წარმომადგენელმა ისევ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, 2017 წლის 07 მარტის განჩინების შეცვლა და ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხის განსხვავებულად მოწესრიგება.

2017 წლის 21 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, შეცვლილიყო სასარჩელო მოთხოვნა (მან უარი განაცხადა ბავშვების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნაზე).

2017 წლის 07 ივნისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 15 ივნისს.

2017 წლის 13 ივნისს მოპასუხემ, … სასამართლოს წარუდგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა, ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრულიყო დედის საცხოვრებელი ადგილი და იმავდროულად, მამას, … დაკისრებოდა ალიმენტი ერთ ბავშვზე თვეში 150 ლარის ოდენობით. შეგებებული სარჩელით მოპასუხეს სარჩელი ჩაბარდა 2017 წლის 15 ივნისს.

2017 წლის 15 ივნისს შეგებებული სარჩელის ავტორის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნის ნაწილში უარი განაცხადა სარჩელზე.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2017 წლის 15 ივნისს. სხდომაზე მოსამართლემ მოუსმინა მხარეებს და მოუწოდა მათ მორიგებისაკენ.

2017 წლის 23 ივნისს შეგებებული სარჩელით მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. … აღნიშნა, რომ მისი შემოსავალი არ იძლეოდა ალიმენტის მოთხოვნილი რაოდენობით გადახდის შესაძლებლობას და გამოთქვა მზადყოფნა, ერთ ბავშვზე გადაეხადა ალიმენტი თვეში 80 ლარის ოდენობით.

2017 წლის 23 ივნისს … წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა.

საქმეზე მეორე მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2017 წლის 14 ივლისს.

2017 წლის 18 ივლისს … წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, 2017 წლის 07 მარტის დროებით განკარგულების გაუქმება.

2017 წლის 18 ივლისს შეგებებული სარჩელის ავტორმა კიდევ ერთი განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, მოპასუხისათვის ერთ ბავშვზე ერთჯერადი გადასახადის სახით 400 ლარის დაკისრება (სულ ორივე ბავშვზე 800 ლარის ოდენობით), რადგან ეს თანხა საჭირო იყო ბავშვების მკურნალობისათვის.

2017 წლის 19 ივლისის განჩინებით (დროებითი განკარგულებით) შეგებებული სარჩელის ავტორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბავშვების მამასთან ურთიერთობის საათები შემცირდა და მათი ურთიერთობის ადგილად განისაზღვრა … ცენტრი.

2017 წლის 20 ივლისს … წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე … და ითხოვა, 2017 წლის 19 ივლისის განჩინების საფუძველზე მომზადებული სააღსრულებო ფურცლის მისთვის გადაცემა. მხარეს სააღსრულებო ფურცელი ჩაბარდა 2017 წლის 21 ივლისს.

საქმეზე მთავარი სხდომა გაიმართა 2017 წლის 19 სექტემბერს. მოსამართლე … განიხილა მხარეთა შუამდგომლობები, მიიღო შესაბამისი საოქმო განჩინებები და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაავალა მხარეებს უფროსი ბავშვის ფსიქიატრთან მიყვანა, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით (2017 წლის 06 ოქტომბერს … სასამართლოში წარადგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა).

სასამართლო სხდომები გაიმართა 2017 წლის 12 ოქტომბერს და 18 ოქტომბერს. აღნიშნულ სხდომებზე მოსამართლემ განიხილა მხარეთა შუამდგომლობები და მიიღო შესაბამისი საოქმო განჩინებები.

2017 წლის 18 ოქტომბერს … წარმომადგენელს გადაეცა 2017 წლის 19 ივლისის განჩინების საფუძველზე მომზადებული სააღსრულებო ფურცლის ასლი (დროებითი განკარგულება). იმავე დღეს შეგებებული სარჩელით მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, 2017 წლის 19 ივლისის დროებითი განკარგულების შეცვლა. 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით … უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2018 წელს საქმეზე გაიმართა 3 სასამართლო სხდომა, 11 და 26 იანვარს და 15 თებერვალს. 2018 წლის 15 თებერვლის საბოლოო გადაწყვეტილებით … სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, … უფლება მიეცა ენახა შვილები კვირაში ერთხელ, შაბათ დღეს 11:00 საათიდან 14:00 საათამდე დროის მონაკვეთში ერთი საათით, დედის, … თანდასწრებით. 6 თვის გასვლის შემდეგ კი მოსარჩელეს უფლება ეძლეოდა ნახვის პერიოდი გაეზარდა 2 საათამდე. ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დედის, … შეგებებული სარჩელი, … დაევალა თითოეულ ბავშვზე ალიმენტის გადახდა 100 ლარის ოდენობით (სულ 200 ლარი). ხსენებული გადაწყვეტილებით გაუქმდა 2017 წლის 19 ივლისის დროებითი განკარგულებაც.

2018 წლის 06 მარტს … წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, 2018 წლის 15 თებერვლის დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის გადაცემა.

2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება 2018 წლის 28 მარტს სააპელაციო წესით გაასაჩივრა …. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სააპელაციო სასამართლოში რეგისტრირებულ იქნა 2018 წლის 23 მაისს.

2.2. 2018 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე … განსახილველად გადაცემული ქონდა 801 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 527 საქმის განხილვა (65.8%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-2 პუნქტის „ე" („მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულება") და „დ" („საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება") ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.1. საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლემ უსაფუძვლოდ გააჭიანურა საქმის განხილვა.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო". აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში

მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოსამართლე … წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

… სასამართლოს სარჩელით მიმართა 2017 წლის 03 თებერვალს. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2018 წლის 15 თებერვალს. საქმის მასალების მიხედვით, მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 31 მარტს. ამდენად, საქმის განხილვის ვადის ათვლა სწორედ ამ თარიღიდან უნდა დაიწყოს. საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობდა 10 თვის და 14 დღის განმავლობაში. სახეზე გვაქვს საქმის განხილვის 2 თვიანი ვადის 8 თვეზე მეტი დროით დარღვევა. აღნიშნული გაჭიანურების საფუძვლიანობის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს საპროცესო მოქმედებებს, რომლებმაც განაპირობა საქმის განხილვის გაჭიანურება.

საქმის მასალებით მტკიცდება, რომ სარჩელის და შეგებებული სარჩელის შეცვლა მოხდა რამოდენიმეჯერ, მხარეებმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის გამო შესაბამისი დასკვნის მომზადების მოთხოვნით, მხარეებმა რამოდენიმეჯერ მოითხოვეს დროებითი განკარგულების მიღება და შემდგომ, დროებითი

განკარგულების შეცვლა და გაუქმება. მოსამართლე … საქმეზე ჩაატარა 8 სასამართლო სხდომა, რითაც შეუწყო ხელი საქმის განხილვის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში დასრულებას. შედეგად, მიუხედავად საქმის 8 თვეზე მეტი დროით გაჭიანურებისა, მოსამართლის ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ნიშნებს.

3.2. უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს, მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ ასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში". ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლიც თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების ვადა შეადგენს 1 თვეს.

ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის შესაბამისად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი,...“ გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.“

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მას დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩაბარებია კანონით განსაზღვრულ ვადაში. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2018 წლის 15 თებერვალს. მხარემ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა 2018 წლის 06 მარტს, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-19 დღეს. ამდენად, მხარის ამ განცხადების საფუძველზე მოსამართლეს არ გასჩენია ვალდებულება, გადაეცა მისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილება (მხარე ვალდებული იყო გამოცხადებულიყო სასამართლოში საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა; კანონის ეს მოთხოვნა იმპერატიულ ხასიათს ატარებს).

… ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის კანონით გათვალისწინებული ვადა (05 დღე). აღსანიშნავია, რომ მხარემ 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება გაასაჩივრა 2018 წლის 28 მარტს. … სააპელაციო სასამართლოში წინამდებარე საქმის რეგისტრაცია (შესაბამისად, გადაგზავნა) მოხდა 2018 წლის 23 მაისს, მას შემდეგ, რაც მოსამართლე … წინამდებარე საქმეზე მოამზადა დასაბუთებული გადაწყვეტილება. საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებამდე მოსამართლე მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეგზავნა საქმე სააპელაციო სასამართლოში. რაც შეეხება მოსამართლის მიერ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების 14 დღიანი ვადის დაახლოებით 2 თვემდე დარღვევას,

მოსამართლის დატვირთულობის, მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, საქმის სირთულის და იმის გათვალისწინებით, რომ მის ამ მოქმედებას არ მოჰყოლია მხარის უფლების არსებითი შელახვა, ეს ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულ ვადად და მოსამართლის ეს ქმედება არ შეიძლება შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლემ არაუფლებამოსილ პირზე გასცა სააღსრულებო ფურცელი და ამით შელახა მისი უფლებები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2017 წლის 07 მარტის სააღსრულებო ფურცელი დროებით განკარგულებაზე, რომლის გამოცემაც მოითხოვა მოსარჩელემ, გაიცა …, უფლებამოსილ პირზე. თუმცა, მოგვიანებით, მოპასუხემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ამ განკარგულების შეცვლა. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხის განცხადება და 2017 წლის 19 ივლისის განჩინებით შეცვალა 2017 წლის 07 მარტის დროებითი განკარგულება. 2017 წლის 20 ივლისს მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსამართლეს და მოითხოვა, 2017 წლის 19 ივლისის განჩინების საფუძველზე შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის მისთვის გადაცემა. აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა და მხარეს სააღსრულებო ფურცელი ჩაბარდა 2017 წლის 21 ივლისს. შესაბამისად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ამ შემთხვევაში არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 12 წევრიდან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე … მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №116/18, მოსამართლე … მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი